

“ენერგოეფექტური პრინციპები ტრადიციულ ქართულ არქიტექტურაში“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის“ ფაკულტეტის პროფესორის ლევან ბერიძის, ლაშა ხულორდავას და დოქტორანტ მზევინარ გაგძის ავტორობით გამოვიდა წიგნი “ენერგოეფექტური პრინციპები ტრადიციულ ქართულ არქიტექტურაში“. ნაშრომი მომზადდა BP-სა და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული პროგრამის „განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის ახალი პროექტი“-ს გარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“.

წიგნში “ენერგოეფექტური პრინციპები ტრადიციულ ქართულ არქიტექტურაში“ განხილულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფითი ტრადიციები საცხოვრებელი სახლების აგებასთან დაკავსირებით. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა შენობებში ენერგომომხმარების პროცესების დარეგულირება. ამიტომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს შენობების ენერგოეფექტურობის ნორმების სრულყოფისა და განვითარებისაკენ, გათვალისწინებული ინდა იქნეს პირობები - ჰაერის ტემპერატურა, მზის რადიაცია, ტენიანობა, ქარი, ნალექები და ა.შ. რაც განაპირობებს შენობათა ხუროთმოძღვრებაში გამოყენებული მასალების ენერგოეფექტურობას.

